პატრიარქმა კირილემ კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრეს ინტრონიზაციის დღე მიულოცა

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრეს ინტრონიზაციის მორიგი წლისთავი მიულოცა.

მის უნეტარესობას, უნეტარეს ონოფრეს, კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტს

თქვენო უნეტარესობავ!

მიიღეთ მოლოცვა კიევის მიტროპოლიტების კათედრაზე თქვენი ინტრონიზაციის მერვე წლისთავთან დაკავშირებით.

ყოვლისმპყრობელის შეუცნობელი განგებით თქვენ დაეწესეთ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭესთან მისი ისტორიული არსებობის რთულ პერიოდში. კაცთმოყვარე მაცხოვარმა თავისი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვებით, დაე განამტკიცოს თქვენი ძალები საეკლესიო ცხოვრების კანონიკური მოწყობის ერთობისა და სიწმინდის დაცვის გზაზე.

ლოცვით გისურვებთ თქვენ ჯანმრთელობასა და მოთმინებას. დაე განგაბრძნოთ მადლისმომნიჭებელმა ღმერთმა, რთულ ვითარებებში განახორციელოთ თქვენზე დაკისრებული მაღალი მსახურება.

ქრისტესმიერი სიყვარულით,

+კირილე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89536/